შეთანხმების ფურცელი

საქართველოს (საქართველოს მთავრობა) და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 2011 წლის 7 ოქტომბერს ხელმოწერილი „ფინანსური პროტოკოლი“-ს ცვლილების წერილი-შეთანხმებაზე

უწყება	შენიშვნა	კომენტარი
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	ფინანსური პროტოკოლის მე-11 მუხლის („ცვლილებები“) თანახმად, ფინანსურ პროტოკოლში ცვლილებები ძალაში შედის პროტოკოლის მე-10 მუხლში აღნიშნული პროცედურის შესაბამისად. ამასთან, ფინანსური პროტოკოლის მე-10 მუხლის („ძალაში შესვლა“) თანახმად, „პროტოკოლი ძალაში შედის მისი ხელმოწერის შემდეგ ქართული მხარის მიერ ფრანგული მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების დღეს...“. ცვლილების პროექტის ბოლო პარაგრაფის თანახმად კი, „შემოთავაზებული შესწორებები ძალაში შევა იმ თარიღით, როცა ფრანგული მხარე წერილობით აცნობებს მსესხებელს, შეტყობინების მიღების შესახებ...“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილების პროექტით გათვალისწინებული ძალაში შესვლის პროცედურა ეწინააღმდეგება ფინანსური პროტოკოლით გათვალისწინებულ პროცედურას და საჭიროებს მასთან შესაბამისობაში მოყვანას. აქვე შევნიშნავთ, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ცვლილების პროექტი საჭიროებს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციას.	გათვალისწინებულია და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქცით: “შემოთავაზებული შესწორებები ძალაში შევა იმ თარიღით, როცა საქართველოს მხარე წერილობით აცნობებს ფრანგულ მხარეს, რომ საქართველომ დაასრულა ყველა საჭირო შიდა პროცედურა აღნიშნული წერილი შეთანხმების ეფექტურად გამოცხადებისათვის.“ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის და ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის გათვალისწინებით წარდგენილი იქნება სარატიფიკაციოდ.
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	გასათვალისწინებელია, რომ წერილი-შეთანხმების ბოლო აბზაცის თანახმად, შემოთავაზებული შესწორებები ძალაში შევა იმ თარიღით, როცა ფრანგული მხარე წერილობით აცნობებს მსესხებელს, შეტყობინების მიღების შესახებ, რომ საქართველომ დაასრულა ყველა საჭირო შიდასახელმწიფოებრივი პროცედურა აღნიშნული წერილი-შეთანხმების ეფექტურობისათვის. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლის 7 ოქტომბრის „საქართველოსა (საქართველოს მთავრობა) და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ფინანსური პროტოკოლი“-ს რატიფიკაცია საქართველოს პარლამენტმა მოახდინა 2011 წლის 13 ოქტომბრის N5116-IIს დადგენილებით. ამრიგად, საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული ცვლილებები საჭიროებს პარლამენტის მიერ რატიფიკაციას. ყოველივე ზემოაღნიშნულისა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია, წარმოდგენილი წერილი-შეთანხმების დადება.	გათვალისწინებული იქნება
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	შენიშვნა არ გააჩნია	

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	შენიშვნა არ გააჩნია	
საქართველოს ეროვნული ბანკი	შენიშვნა არ გააჩნია	
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	შენიშვნა არ გააჩნია	